ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2455645

ნომერი: AR1379748

თარიღი : 19.02.2016

გაცემის თარიღი : 26.02.2016

გაცნობის თარიღი : 26.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბოსტოღანაშვილი პ/ნ 14001013578
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი საძირკვლის არ მქონე შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების

თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –ისანი, გამზირი მოსკოვი, N2, შპს „ქართლი უნივერსალ სერვისი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #002/044), I კლასის დროებითი საძირკვლის არ მქონე შენობა–ნაგებობის მშენებლობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან # 882015745327 29/12/2015წ. საკადასტრო კოდი # 01.17.12.002.044; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –ისანი, გამზირი მოსკოვი, N2, შპს „ქართლი უნივერსალ სერვისი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #002/044), I კლასის დროებითი საძირკვლის არ მქონე შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

• სამეზობლო საზღვრიდან 5.0 მეტრამდე მანძილზე ან საზოგადოებრივ საზღვრის მხარეს იმ შემთხვევაში, როდესაც ქუჩის სიგანე 5.0 მ-ზე ნაკლებია, წვადი სამშენებლო მასალები უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.